თსუ ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და
ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს
2025 წლის 7 თებერვლის სხდომის

ო ქ მ ი N 1

2025 წლის 7 თებერვალს შედგა თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ სამეცნიერო საბჭოს წევრები, მთავარი მეცნიერი თანამშრომლები: **გიორგი ჭეიშვილი, ლავრენტი ჯანიაშვილი, ლევან გორდეზიანი, ვალერიან ვაშაკიძე, მარიამ ჩხარტიშვილი, ეკა კვაჭანტირაძე, ავთანდილ სონღულაშვილი, ვაჟა კიკნაძე, ალექსანდრე დაუშვილი, ქეთევან ხუციშვილი, ნინო მინდაძე, როლანდ თოფჩიშვილი, სალომე ოქრუაშვილი, ლიანა ბითაძე.** საბჭოს სხდომას ესწრებოდა სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობის ნახევარზე მეტი (დანართი 1).

სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც მათ წინასწარ ჰქონდათ ელექტრონულად გაგზავნილი:

1. **ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ძველი ქვეყნების ისტორიის განყოფილებაში მეცნიერი თანამშრომლის სამსახურში მისაღებად გამოცხადებული კონკურსისთვის კომისიის შექმნა;**
2. **ინსტიტუტის 2024 წლის სამეცნიერო საქმიანობის ანგარიში.**
3. **ინსტიტუტის მომავალი ხუთწლიანი (2025-2029 წწ.) სამეცნიერო პროექტის შემუშავება და დამტკიცება.**
4. **მიმდინარე საკითხები.**

კენჭისყრის შედეგად, დღის წესრიგი ერთხმად იქნა მიღებული.

მოისმინეს:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ძველი ქვეყნების ისტორიის განყოფილებაში მეცნიერი თანამშრომლის სამსახურში მისაღებად გამოცხადებული კონკურსისთვის კომისიის შექმნა.

ლავრენტი ჯანიაშვილმა სამეცნიერო საბჭოს წარუდგინა, ძველი ქვეყნების ისტორიის განყოფილებაში მეცნიერი თანამშრომლის სამსახურში მისაღებად გამოცხადებული კონკურსისთვის კომისიის წევრთა კანდიდატურები:

ლევან გორდეზიანი – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ძველი ქვეყნების ისტორიის განყოფილების ხელმძღვანელი, მთავარი მეცნიერი

თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი;
ვალერიან ვაშაკიძე - ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ძველი ქვეყნების ისტორიის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის დოქტორი;
ირინე ტატიშვილი - ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასირიოლოგიის კათედრის გამგე, პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი.

გაიმართა მსჯელობა, **აზრი გამოთქვეს:** გიორგი ჭეიშვილმა, ლიანა ბითაძემ, ალექსანდრე დაუშვილმა, ქეთევან ხუციშვილმა და სხვა.

ჩატარდა ღია კენჭისყრა: მომხრე - 14 წინააღმდეგი - 0 თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: შეიქმნას სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ძველი ქვეყნების ისტორიის განყოფილებაში მეცნიერი თანამშრომლის სამსახურში მისაღებად გამოცხადებული კონკურსისთვის კომისია წარმოდგენილი შემადგენლობით.

ლავრენტი ჯანიაშვილმა კომისიის თავმჯდომარედ წამოაყენა ლევან გორდეზიანის კანდიდატურა; კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ - ვალერიან ვაშაკიძის კანდიდატურა; კომისიის მდივნად - ირინე ტატიშვილის კანდიდატურა.

ჩატარდა ღია კენჭისყრა: მომხრე - 14 წინააღმდეგი - 0 თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: საკონკურსო კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნას ლევან გორდეზიანი, კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ - ვალერიან ვაშაკიძე, კომისიის მდივნად - ირინე ტატიშვილი.

მოისმინეს:

2. ინსტიტუტის 2024 წლის სამეცნიერო საქმიანობის ანგარიში.

განყოფილებების ხელმძღვანელებმა სამეცნიერო საბჭოს წარუდგინეს ხუთწლიანი სამეცნიერო-კვლევითი პროექტით - „საქართველოს საზღვრები“ გათვალისწინებული, 2024 წელს დაგეგმილი სამეცნიერო საქმიანობის მოკლე ანგარიშები.

ლიანა ბითაძე: მიმდინარე წელს ანთროპოლოგიური კვლევის ლაბორატორიაში შესრულდა პროექტის ერთ-ერთი მიმართულების თემით: *„ქართველი ხალხის ეთნო-კულტურული ურთიერთობები ისტორიული ალბანეთისა და თანამედროვე აზერბაიჯანის მოსახლეობასთან,“* გათვალისწინებული 4 წლიური ნაშრომი, დაიბეჭდა

სტატიები, თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს სამეცნიერო ფორუმებში საქართველოში და საზღვარგარეთ. ლაბორატორიის სამეცნიერო პერსონალი მონაწილეობდა საგრანტო პროექტებში, რომელთა გარგლებშიც მოეწყო სამეცნიერო მივლინებები.

ავთანდილ სონღულაშვილი: ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილებამ თემები შეასრულა. გასული წლის დეკემბერში განყოფილების სხდომებზე თანამშრომლებმა წარმოადგინეს პროექტით გათვალისწინებული ხუთწლიანი შემაჯამებელი ნაშრომები, რომლებიც განვიხილეთ და შევაფასეთ. ნაწილი ელექტრონული სახით უკვე გადაგზავნილია ინსტიტუტის კანცელარიაში. გამოსაცემად მზადდება კოლექტიური ნაშრომი - „საქართველოს საზღვრები XIX-XXI საუკუნეებში.“ გამოიცა განყოფილების კრებულის მორიგი ნომერი, რომელშიც დაიბეჭდა ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების ორგანიზებით გამართული 1924 წლის აჯანყებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებები.

ქეთევან ხუციშვილი: საქართველოს ეთნოლოგიის განყოფილებაში შესრულდა პროექტის მიმართულებით - *„საზღვრების ეთნო-კულტურული განზომილებები,“* გათვალისწინებული 2024 წლის თემები, რომელთა ელექტრონული ვერსიების ნაწილი გაგზავნილია ინსტიტუტის კანცელარიაში. გამოიცა განყოფილების კრებულის მორიგი ნომერი. თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს სამეცნიერო ფორუმებში, სხვადასხვა პროექტებში. დასრულდა ინსტიტუტის ბაზაზე შესრულებული საგრანტო პროექტი, რომელშიც მონაწილეობდა საქართველოს ეთნოლოგიის განყოფილების 3 თანამშრომელი, გამოიცა მონოგრაფია.

მარიამ ჩხარტიშვილი: შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის განყოფილებაში შესრულდა ინსტიტუტის სამეცნიერო პროექტის მიმართულებით - *„ქართული ერთობის საზღვრები IV–XVIII საუკუნეებში: წარმოსახვა და რეალობა,“* გათვალისწინებული ხუთწლიანი შემაჯამებელი ნაშრომები. გამოსაცემად მზადდება რამოდენიმე კოლექტიური ნაშრომი. თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს სამეცნიერო ფორუმებში, საგრანტო პროექტებში და დაბეჭდეს სტატიები. გამოიცა განყოფილების კრებულის მორიგი ნომერი. ჩვენი განყოფილების ორგანიზებით, გასული წლის ბოლოს ჩატარდა სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა წმინდა ქეთევან დედოფლის წამებიდან 400 წლისთავს, დაიბეჭდა მოხსენებების მოკლე შინაარსები.

ლევან გორდეზიანი: ძველი ქვეყნების ისტორიის განყოფილებაში შესრულდა საინსტიტუტო პროექტის მიმართულების - *„საზღვრები ძველ საქართველოში: კონცეფცია და პრაქტიკა“* ხუთწლიანი შემაჯამებელი ნაშრომები, რომლებიც გაერთიანდა და გამოსაცემად მომზადდა კოლექტიური ნაშრომის ელექტრონული ვერსია. ასევე, თანამშრომლებმა დაბეჭდეს სტატიები, მონაწილეობა მიიღეს სამეცნიერო ფორუმებში და საგრანტო პროექტებში.

როლანდ თოფჩიშვილი: კავკასიის ეთნოლოგიის განყოფილებაში, გასულ წელს, შესრულდა პროექტის ერთ-ერთი მიმართულებით გათვალისწინებული თემის - *„ქართველი ხალხის ეთნო-კულტურული ურთიერთობები ისტორიული ალბანეთისა და თანამედროვე აზერბაიჯანის მოსახლეობასთან“,* წლიური ნაშრომები. მათ შესასრულებლად მოეწყო სამეცნიერო ექსპედიცია ლაგოდეხის მინიციპალიტეტის სოფლებში. მოპოვებული ახალი მასალა დამუშავდა და გამოყენებული იქნა წლიურ თემებში. გამოიცა განყოფილების კრებულის მორიგი ნომერი, რომელშიც დაიბეჭდა 2023 წელს შესრულებული წლიური ნაშრომები, ხოლო 2024 წლის თემები მიმდინარე წლის ნომერში დაიბეჭდება. განყოფილების წევრები მონაწილეობდნენ სამეცნიერო ფორუმებში, საგრანტო პროექტებში. მათ დაბეჭდეს სტატიები ასევე სხვა პერიოდულ გამოცემებში საქართველოში და საზღვარგარეთ.

გაიმართა მსჯელობა, **აზრი გამოთქვეს:** ავთანდილ სონღულაშვილმა, ლევან გორდეზიანმა, როლანდ თოფჩიშვილმა, ქეთევან ხუციშვილმა, ლავრენტი ჯანიაშვილმა, ლიანა ბითაძემ, გიორგი ჭეიშვილმა და სხვა.

დაადგინეს: ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება, რომ ინსტიტუტის 2024 წლის სამეცნიერო საქმიანობა დადებითად შეფასდეს.

მოისმინეს:

3. ინსტიტუტის მომავალი ხუთწლიანი (2025-2029 წწ.) სამეცნიერო პროექტის შემუშავება და დამტკიცება.

გიორგი ჭეიშვილი: განყოფილებების ხელმძღვანელებმა წარმოადგინეს მომავალი ხუთწლიანი სამეცნიერო პროექტისათვის თანამშრომელთა საქმიანობის გაწერილი გეგმა. შეირჩა პროექტის სახელწოდება - **„საქართველოს სოციალური ისტორია: საზოგადოება და კულტურა.“** პროექტი იქნება მულტიდისციპლინური; ისტორიული, ეთნოლოგიური, კულტურული და ფიზიკური ანთროპოლოგიის ჭრილში შესწავლილი იქნება სოციალური ისტორიის როგორც ტრადიციული პრობლემები, ასევე საკითხები, რომლებსაც ნაკლები ყურადღება ეთმობოდა ქართულ ისტორიოგრაფიაში. პროექტში გამოიყო ექვსი მიმართულება, რომლებიც შესაბამისი პროფილის განყოფილებებში დამუშავდება განყოფილების გამგეთა ხელმძღვანელობით: *მიმართულება 1.* **ძველი მსოფლიოსა და ძველი საქართველოს სოციალ-ეკონომიკური ისტორიის საკითხები** - ძველი ქვეყყნების ისტორიის განყოფილება, ხელმძღვანელი ლ. გორდეზიანი; *მიმართულება 2.* **ოჯახი შუა საუკუნეების საქართველოში წერილობითი წყაროების მიხედვით** - შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის განყოფილება, ხელმძღვანელი მ. ჩხარტიშვილი; *მიმართულება 3.* **საქართველოს სოციალური ისტორია XIX-XXI საუკუნეებში** - ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილება, ხელმძღვანელი ა. სონღულაშვილი; *მიმართულება 4.* **ჩრდილოეთ**

კავკასიის ხალხთა სოციალ-ეკონომიკური პრობლემები: ისტორია და თანამედროვეობა - კავკასიის ეთნოლოგიის განყოფილება, ხელმძღვანელი რ. თოფჩიშვილი; *მიმართულება 5.* **სოციო-კულტურული რეალიები საქართველოში: ტრადიციიდან თანამედროვეობამდე** - საქართველოს ეთნოლოგიის განყოფილება, ხელმძღვანელი ქ. ხუციშვილი; *მიმართულება 6.* **საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის დემოგრაფია და გარემოსთან ადაპტაცია (ძვ. წ. IV ათ. მეორე ნახ. - ახ. წ. XVII ს.)** - ანთოპოლოგიური კვლევის ლაბორატორია, ხელმძღვანელი ლ. ბითაძე. მიმართულებების ფარგლებში შესასრულებელი ამოცანები წლების მიხედვით განაწილდა სამეცნიერო პერსონალზე.

გაიმართა მსჯელობა, **აზრი გამოთქვეს:** ქეთევან ხუციშვილმა, ალექსანდრე დაუშვილმა, ლავრენტი ჯანიაშვილმა, ლევან გორდეზიანმა, ავთანდილ სონღულაშვილმა და სხვა.

გამოითქვა მოსაზრებები, რომ მომავალი ხუთწლიანი პროექტის ფარგლებში დამუშავდება თემები: გენდერი, ოჯახი და დემოგრაფია; ქალის, ბავშვის, ხანდაზმული და შშმ პირების სტატუსი და მათი დაცვის მექანიზმები; ეთნიკურობა და მიგრაციები; შრომა და განათლება; ჯანმრთელობა და დაავადებები, სივრცითი და ციფრული ისტორია.

დაადგინეს: ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება, რომ „სამეცნიერო კვლევებისა და ხელშეწყობის პროგრამის“ (პროგრამული კოდი 32 05 04) ფარგლებში, 2025-2029 წლებში ინსტიტუტი შეასრულებს სამეცნიერო პროექტს - „საქართველოს სოციალური ისტორია: საზოგადოება და კულტურა.“

მოისმინეს:

4. მიმდინარე საკითხები.

ინსტიტუტის ისტორიულ და ეთნოლოგიურ საარქივო ფონდზე პასუხისგებელმა პირმა - ნიკოლოზ გურგენიძემ წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც ეხებოდა თსუ-ს „ცოდნის გადაცემისა და ინოვაციების ცენტრის“ საქმიანობას, ტექნიკურ შესაძლებლობებს და ინსტიტუტთან თანამშრომლობით მათი რესურსების გამოყენების შესაძლებლობას არქივისათვის და ანთროპოლოგიური კვლევის ლაბორატორიისათვის. კერძოდ, სააქივო მასალის კონსერვაცია-კომერციალიზაცია (მულაჟების დამზადება ისეთი საარქივო მასალისათვის, როგორიცაა რიტუალური პურები), 3D პრინტერზე ბეჭდვა (ანთროპოლოგიური კვლევის ლაბორატორიაში დაცული ძვლოვანი მასალის მულაჟების დამზადება სასწავლო პროცესში გამოსაყენებლად), ლაზერის დახმარებით ხეზე კვეთა (ეთნოგრაფიული საარქივო მასალის ასლების დამზადება საგამოფენოდ, სასაჩუქრედ ან მომავალში კომერციული მიზნით).

საცდელი ნიმუშების დასამზადებლად, ვიზუალური პრინციპით, შერჩეულია 15 ერთეულამდე საარქივო გრაფიკული ნიმუში, რომელზეც ასახულია საკულტო, საცხოვრებელი დანიშნულების ნაგებობები, მათი ინტერიერი და ცალკეული

არქიტექტურული დეტალები, სხვადასხვა ეთნოგრაფიული ნივთების ჩანახატები და შექმნილია დიგიტალური ვერსიები. ამასთანავე, მიმდინარეობს 3D პრინტერზე რიტუალური პურებისათვის მულაჟების დაბეჭდვის პროცედურები.

გაიმართა მსჯელობა, **აზრი გამოთქვეს:** ვალერიან ვაშაკიძემ, ლიანა ბითაძემ, ქეთევან ხუციშვილმა, ეკა კვაჭანტირაძემ, გიორგი ჭეიშვილმა, ალექსანდრე დაუშვილმა და სხვა.

გამოითქვა მოსაზრებები, რომ პროექტისთვის მასალის შერჩევა უმჯობესია, მოხდეს ეთნოლოგიური მიმართულების განყოფილებებთან კონსულტაციით; მისასალმებელია კონსერვაციის მიმართულებით გადასადგმელი ნაბიჯები; გასარკვევია, თუ რა დაჯდება საცდელი ნიმუშის დამზადება, თუმცა ამ ეტაპზე, კომერციალიზაციის თვალსაზრისით მასალის გამოყენება არ არის შესაძლებელი; ანთროპოლოგიური კვლევის ლაბორატორიისათვის ცნობილია ამ ცენტრის პოტენციალი და ძალიან კარგი იქნება კონსერვაციისთვის, ან სასწავლო მიზნებისათვის თავის ქალების მულაჟების დამზადება; აღინიშნა, რომ ამგვარი მასალების დამზადება ინსტიტუტში საგამოფენო სივრცის მოსაწყობად, სხვადასხვა გამოფენებზე წარსადგენად, ან სასაჩუქრე ნაკრებებად გამოყენება ხელს შეუწყობს ინსტიტუტის ცნობადობის ამაღლებას და კარგად წარმოაჩენს მის იდენტობას.

დაადგინეს: ა) კონსერვაციის მიზნით მოხდეს საარქივო ეთნოგრაფიული მასალის, ასევე, ანთროპოლოგიური კვლევის ლაბორატორიაში დაცული არქეოლოგიური ნიმუშების მომზადება; ბ) შერჩეული გრაფიკული მასალიდან თსუ-ს „ცოდნის გადაცემისა და ინოვაციების ცენტრს“ მხოლოდ რამდენიმე ერთეულის ციფრული ვერსია გადაეცეს და მათი ასლების დამზადების შემდეგ, აღნიშნულთან დაკავშირებით სამეცნიერო საბჭომ დამატებით იმსჯელოს.

სხდომამ დაადგინა:

1. **შეიქმნას სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ძველი ქვეყნების ისტორიის განყოფილებაში მეცნიერი თანამშრომლის სამსახურში მისაღებად გამოცხადებული კონკურსისთვის კომისია შემდეგი შემადგენლობით:**

   ლევან გორდეზიანი – კომისიის თავმჯდომარე - ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ძველი ქვეყნების ისტორიის განყოფილების ხელმძღვანელი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი;
   ვალერიან ვაშაკიძე - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე - ივ. ჯავახიშვილის

სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ძველი ქვეყნების ისტორიის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის დოქტორი;

ირინე ტატიშვილი - კომისიის მდივანი - ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასირიოლოგიის კათედრის გამგე, პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი.

და ეცნობოს თსუ-ს ადმინისტრაციას შემდგომი მსვლელობისათვის.

2. ინსტიტუტის 2024 წლის სამეცნიერო საქმიანობა დადებითად შეფასდეს.
3. „სამეცნიერო კვლევებისა და ხელშეწყობის პროგრამის“ (პროგრამული კოდი 32 05 04) ფარგლებში, 2025-2029 წლებში ინსტიტუტი შეასრულებს სამეცნიერო პროექტს - „საქართველოს სოციალური ისტორია: საზოგადოება და კულტურა.“
4. ა) კონსერვაციის მიზნით მოხდეს საარქივო ეთნოგრაფიული მასალის, ასევე, ანთროპოლოგიური კვლევის ლაბორატორიაში დაცული არქეოლოგიური ნიმუშების მომზადება; ბ) შერჩეული გრაფიკული მასალიდან თსუ-ს „ცოდნის გადაცემისა და ინოვაციების ცენტრს“ მხოლოდ რამდენიმე ერთეულის ციფრული ვერსია გადაეცეს და მათი ასლების დამზადების შემდეგ, აღნიშნულთან დაკავშირებით სამეცნიერო საბჭომ დამატებით იმსჯელოს.

სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე: ლავრენტი ჯანიაშვილი

სამეცნიერო საბჭოს მდივანი: ლიანა ბითაძე

7. 02. 2025

დანართი 1

თსუ ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და
ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს
2025 წლის 7 თებერვლის სხდომას ესწრებოდნენ
მთავარი მეცნიერი თანამშრომლები:

- გიორგი ჭეიშვილი
- ლევან გორდეზიანი
- მარიამ ჩხარტიშვილი
- ავთანდილ სონღულაშვილი
- ქეთევან ხუციშვილი
- როლანდ თოფჩიშვილი
- ლიანა ბითაძე
- ვალერიან ვაშაკიძე
- ვახტანგ გოილაძე
- ეკა კვაჭანტირაძე
- ვაჟა კიკნაძე
- ალექსანდრე დაუშვილი
- ელდარ ბუბულაშვილი
- ნიკოლოზ ჯავახიშვილი
- ნინო მინდაძე
- ხათუნა იოსელიანი
- სალომე ოქრუაშვილი
- ლავრენტი ჯანიაშვილი